საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 2011 წლის 7 სექტემბერი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 69

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-2 მუხლისა და მუსიკის ფაკულტეტის საბჭოს 2011 წლის 15 ივლისის სხდომის № 13 ოქმის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის 2011-2012 სასწავლო წლის საგანმანათლებლო პროგრამებში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) სამაგისტრო პროგრამიდან ამოღებულ იქნეს: რუსული ენა, ინგლისური ენა, იმპროვიზაციის საფუძვლები, ხელოვნების ისტორია;

ბ) სამაგისტრო პროგრამას ყველა სპეციალობაზე დაემატოს - კვლევისა და ანალიტიკური აზროვნების მეთოდოლოგია.

- კლავიშიან საკრავთა მიმართულებით: მე-20 საუკუნის საფორტეპიანო ლიტერატურის გაცნობა; თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია.
- აკადემიური სიმღერის სპეციალობით: თანამედროვე ვოკალური ხელოვნების ისტორია და თეორია; საოპერო სტუდია.
- ეთნომუსიკოლოგიის მიმართულებით: ხალხური საკრავის შესწავლა.

2. დადგენილებით იხელმძღვანელონ: უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა, მუსიკის ფაკულტეტმა.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია